საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. N1
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

N 30
03/02/2020

დასკვნა

ქალაქ ოზურგეთის 9 აპრილის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიურ განცხადებაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების ადა ინფრასტრუქტურის კომისიამ განიხილა ქალაქ ოზურგეთის 9 აპრილის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება და დაადგინა:

1. ქ. ოზურგეთის 9 აპრილის ქუჩის ძირითადი პერიმეტრი ცალკეულ მოქალაქეთა და ამავე ქუჩაზე განთავსებული სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების მომსახურებით მოსარგებლე პირთა კუთვნილი ავტომანქანების პარკირების ადგილად არის გადაქცეული;

2. ქ. ოზურგეთის 9 აპრილის ქუჩის (N20,22,24,26) მაცხოვრებლები, წინამდებარე დასკვნის პუნქტ I-ში აღწერილი ფაქტობრივი მდგომარეობის გამო განიცდიან სერიოზულ დისკომფორტს მათ მფლობელობაში არსებული ავტომანქანების საკუთარ ეზოებში შეყვანისა და გამოყვანის დროს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ზემოთ აღნიშნულ ქუჩაზე მცხოვრების ეზოში შესასვლელი ჭიშკრის პერიმეტრი დაკავებული აქვს სრულიად უცნობის პირების ავტომანქანებს. დაფიქსირდა ფაქტი, როდესაც ერთ-ერთი მოქალაქის ავტომანქანას 2 საათზე მეტ დროის პერიოდში დაკავებული ჰქონდა ზემოთ აღნიშნული ქუჩის ერთ-ერთი მაცხოვრებლის ეზოში შესასვლელი ჭიშკრის პერიმეტრი.

3. ქ. ოზურგეთის 9 აპრილის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიურ განცხადებაში მოყვანილი ფაქტების სინამდვილე დადასტურებულია კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ.

კომისიამ გადაწყვიტა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე დასვას საკითხი ქ. ოზურგეთის 9 აპრილის ქუჩის მცხოვრებლების კოლექტიური განცხადებაში მოყვანილი ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ.

ლავრენტი ბიგვავა

კომისიის თავმჯდომარე
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია